ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1085601

ნომერი: AR1190276

თარიღი : 15.01.2014

გაცემის თარიღი : 20.01.2014

გაცნობის თარიღი : 22.01.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის, (ნაკვ. 14/151) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა დადუანი პ/ნ 62004012475
- გულრიფში ს. ვარჩე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: საპროექტო დავალებით გათვალისწინებული გაქვთ არსებული #2/1 შენობა-ნაგებობის მცირე ნაწილის დემონტაჟი, რაც განეკუთვნება შენობა-ნაგებობის ისეთი სახის რეკონსტრუქციას (განგიმარტავთ, რომ შენობის რეკონსტრუქცია წარმოადგენს შენობა-ნაგებობაზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენებას ან არსებული სართულ(ებ)ის დემონტაჟს, აგრეთვე მისი ნებისმიერი სართულის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 1 კვ.მ.-ზე მეტად), რომლის განხორციელებაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დაარეგისტრიროთ ახალი განცხადება და შეარჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მშენებლობის ნებართვა" - უნდა აირჩიოთ საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება - შენობების კლასის განსაზღვრის კალკულატორში ზუსტად უნდა მიუთითოთ სარეკონსტრუქციო ობიექტის პარამეტრები - ქმედებები "რეკონსტრუქცია" - ქვექმედება "რეკონსტრუქციის სხვა სახეობა" - სტადიები: "პროექტის შეთანხმება" და "მშენებლობის ნებართვა", რომლის შემდგომ შესაბამის ველებში უნდა ატვირთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები დატვირთულია იპოთეკით და ვინაიდან საპროექტო დავალებით გათვალიწინებული გაქვთ არსებული შენობის ნაწილობრივი დემონტაჟი, წარმოდგენილი უნდა იყოს იპოთეკარის, ს.ს. "თიბისი ბანკი"-ს თანხმობა, აღნიშნულის განხორციელებასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.